აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2019-2020 *წ.*

შესავალი

აჭარის მთავრობის პოლიტიკის განხორციელება ეყრდნობა მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებასა და შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას.

აჭარის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ემსახურება აჭარის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალი არის ბიზნესის თავისუფლება.

მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ემსახურება ადამიანური კაპიტალის განვითარებას, განათლების, ღირსეული სოციალური უზრუნველყოფის და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის განვითარებას. სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კერძო საკუთრებისა და შრომითი უფლებების დაცვა, სამართლიანი სოციალური პოლიტიკის გატარება.

COVID 19 -ის გავრცელების შეკავების მიზნით გატარებული ღონისძიებები

გლობალური პანდემიის გავრცელებისთანავე საქართველოს ხელისუფლებამ პროცესის ეფექტურად მართვა შეძლო. 28 იანვარს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, რომელიც ვირუსის შეჩერების კუთხით და ჯანდაცვის სექტორთან კოორდინაციით, იღებს გადაწყვეტილებებს.
შიდა გავრცელების პრევენციისთვის შეჩერდა სასწავლო პროცესი, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე შეიქმნა კონტროლის ობიექტები. აჭარაში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შეიქმნა რეგიონული შტაბი, რომელიც უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში მართავს პროცესებს რეგიონში.

ვირუსის გავრცელების პერიოდში, პირველ ეტაპზე, აჭარის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებული თანხებით, დაახლოებით 23 მლნ ლარზე მეტის მობიზილება განხორციელდა, საიდანაც 12 მლნ ლარზე მეტი საქონელი და მომსახურების მუხლით მიღებული ეკონომიაა. საერთო მობილიზებული თანხიდან 2,5 მილიონი ლარი წმინდა ადმინისტრაციული ხარჯებიდან დაიზოგა. 23 მლნ ლარი, აჭარაში ყველაზე აუცილებელ საჭიროებებზე გადანაწილდა.

საკარანტინო ზონები ქვეყნის მასშტაბით 22 000-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა და ეს იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელსაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია დღეს თავის პროტოკოლებში იყენებს.

აჭარაში კოვიდ-19 ინფიცირების პირველი შემთხვევა 14 მარტს დაფიქსირდა და დღეის მდგომარეობით 72 დადასტურებული შემთხვევაა, გამოჯანმრთელდა 70, გარდაიცვალა 2, 23 მაისს სტაციონარი დატოვა ბოლო 2-მა პაციენტმა.

საზღვრებზე შემაკავებელი ღონისძიებების ფარგლებში, თერმოსკრინინგის ჩატარების მიზნით, შესაბამისი სამედიცინო პერსონალი განთავსდა.
პრემიერ-მინისტრთან არსებული საკორდინაციო საბჭოს და აჭარის მთავრობის

გადაწყვეტილებით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, აჭარის რეგიონში საკარანტინე ზონების შერჩევა, მოწყობა და მართვა დაევალა. მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების პრევენციის მიზნით, აჭარაში 28 საკარანტინო ზონა შეირჩა. მოხდა სასტუმრო პერსონალის გადამზადება. ასევე სასტუმროების და იქ არსებული სერვისების ადაპტირება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებთან. საკარანტინე ზონების მომსახურებით რეგიონში დღემდე 8600-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ტურიზმისა და კურორტების ტეპარტამენტის და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგების მიერ, ხორციელდება კარანტინის სივრცეებში ნაკადების განთავსება, მათი ინფორმირება და კარანტინის სივრცის პერსონალის გადამზადება უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

პროცესში ჩართული პესრონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, აჭარის სარეზერვო ფონდიდან, 100 ათასი ლარით დაფინანსდა. ინფექციის კონტროლის საკითხებზე მომზადდა და დატრენინგდა რეგიონის ჰოსპიტალური სამედიცინო სექტორი.

საქართველოს მთავრობის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 12 აპრილიდან ქობულეთის 4 სოფელი, როგორც მაღალი რისკის ადგილი, ჩაკეტილ ზონად გამოცხადდა და აღნიშნულ ტერიტორიებზე პირველადი სკრინინგი ჩატარდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ლაბორატორიის აჭარის ფილიალსა და ინფექციურ საავადმყოფოში 12 000-ზე მეტი ტესტირება ჩატარდა. ხორციელდება კარანტინიდან გამსვლელ პირთა PCR დიაგნოსტიკა.

აჭარის სარეზერვო ფონდიდან, პირველ ეტაპზე, აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში

მცხოვრები ოჯახებისთვის სასურსათო კალათების შესაძენად 367 332 ლარი დაიხარჯა. 7000 კალათა 100 ათასამდე ქულის მქონე ოჯახებში გადანაწილდა.

მეორე ეტაპზე, მაისის თვეში, სარეზერვო ფონდიდან 20 000-მდე სასურსათო კალათის შეძენა განხორციელდა. ბენეფიციართა არეალს დაემატა 200 000 ქულამდე მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული 18 წლამდე ასაკის ბავშვი, 200 000 ქულამდე და შშმ ვეტერანი, შშმ ბავშვი, მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირი.

აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უმოკლეს დროში აღიჭურვა ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო, კლინიკაში COVID19-ის ცხელების ცენტრი განთავსდა.

საქართველოს მოქალაქეების ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვის თაობაზე, განხორციელდა საბანკო სესხების გადავადება, განისაზღვრა 6 თვის განმავლობაში 1200 ლარით დახმარება პირების მიმართ, ვინც სამსახური და შემოსავალი დაკარგა, თვითდასაქმებულები კი, რომლებიც შეძლებენ დადასტურებას, რომ მათ სტაბილურად ყოველთვიური შემოსავალი ჰქონდათ, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობის დახმარებას მიიღებენ. სოციალური დახმარება 600 ლარით განისაზღვრა იმ ოჯახებისთვის, ვისი სოციალური სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 100 000-მდე.
ამასთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის, განათლების, ეკონომიკის მიმართულებით ანტიკრიზისული გეგმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ახალი კორონავირუსის როგორც გავრცელების, ასევე ასე ვთქვათ უკვე პოსტ-ვირუსულ ეტაპზე, სხვადასხვა ინიციატივა განხორციელდა:

- მომზადდა განკარგულების ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ხელშეკ-რულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან

გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში“ ცვლილებების განხორციელებას. კერძოდ, ინვესტორებისთვის დამატებითი საშეღავათო ვადა არსებული 4 თვის ნაცვლად (ეს დაწესდა ვირუსის გავრცელების ეტაპზე), 6 თვით განისაზღვრება. განკარგულების პროექტის ინიცირება მიმდინარე წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვებმა განაპირობა. განკარგულება ხელს შეუწყობს ბიზნეს-სექტორის სუბიექ-ტებს, მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ შეძლონ რთულ ეკონომიკურ სიტუაციასთან გამკლავება.

- ამავე განკარგულების პროექტის მიხედვით, ინვესტორები 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით **სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან გათა-ვისუფლდებიან.** გარდა ამისა, მითითებულ ვადაში, ინვესტორის მიერ სარგებლობის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის შემთხვევაში, ინვესტორი გათავი-სუფლდება სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გადახდილი თანხის ოდენობით, საშეღავათო ვადის გასვლის შემდგომ პერიოდში.

- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში ცვლილება** განხორციელდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიცირებული კანონპროექტის მიღების მიზანია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ნორმების სრულფასოვნად გამოყენება და აღსრულება. კანონპროექტის მიხედვით, ქონების მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არანაკლებ 50%-ის შესრულების დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქონების მყიდველის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ოდენობის შესაბამისი ოდენობით შემცირების თაობაზე.

პანდემიის პირობებში სტრატეგიული კოორდინაციისა და კრიზისის მართვის მხრივ საქართველომ, აჭარამ არა ერთი აღიარება მოიპოვა მეგობარი სახელმწიფოებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან. აღსანიშნავია, რომ არსებულ ვითარებაში

დღემდე ჩვენს ქვეყანას მინიმალური დანაკარგი აქვს. საქართველო ამ მხრივ ინარჩუნებს ლიდერ პოზიციას. ევროპის რეგიონთა ასამბლეის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ აჭარამ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში, ორგანიზება გაუწია საგანგებო დანიშნულების ფრენას, რის შედეგადაც პროგრამის მონაწილე ქართველი და უცხოელი ტრენერები სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნდნენ;

აჭარის მთავრობა ჩართული იყო ჩვენი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების პროცესში და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით სამშობლოში აჭარაში მაცხოვრებელი არა ერთი ადამიანის დაბრუნება განხორციელდა.

ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების ეფექტური მართვა

2019 წლის წინასწარი მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი (მიმდინარე ფასებით) 4.3 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებლის 9%-ია. რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ზრდა წინასწარი შეფასებით 6%-ით განისაზღვრება, ხოლო რეგიონის მშპ-მა ერთ სულზე გაანგარიშებით 12 210 ლარი შეადგინა.

2019 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, აჭარის ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 40%-ით, ბრუნვა - 33%-ით, დასაქმებულთა რაოდენობა - 5%-ით, ხოლო საშუალო ხელფასი - 14%-ით. უმუშევრობის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში დინამიურად იკლებს და 2019 წელს 8.8% მდე შემცირდა.

რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებში კაპიტალური პროექტების დაფინანსებამ 2019 წელს შეადგინა 70,2 მლნ ლარი, საიდანაც დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორიცაა ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (I ეტაპი), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული ეკომიგრანტი

ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები, ქედის მუნიციპალიტეტის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მონაკვეთზე საფეხმავლო ტროტუარის მოწყობა და ა.შ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი 2019 წელს შეადგენდა 4,3 მლნ ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით აჭარის 5 მუნიციპალიტეტის 300-ზე მეტ სოფელში სხვადასხვა სახის სამუშაო განხორციელდა, 131 სოფელში მოეწყო გარე განათება, 41 სოფელში მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა და მოეწყო მოსაცდელები, 100-ზე მეტ სოფელში დაიგო ბეტონის საფარი შიდა სასოფლო გზებზე, მოეწყო სანიაღვრე არხები და ა.შ.

აჭარის ბიზნეს სექტორში ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევა მშენებლობა. მშენებლობაზე გაცემული ნებართვების საერთო ფართობის მაჩვენებელმა 2019 წელს 3.0 მლნ კვ.მ შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

ასევე, მზარდია კომერციული ბანკების ფულადი გზავნილების ჩარიცხვების მაჩვენებელი, 2019 წელს წინა წელთან მიმართებაში ზრდამ 16% შეადგინა. აჭარაში განლაგებული ბარათის მიმღებ მოწყობილობებზე ქართული ბარათებით შესრულებული ოპერაციები 22%-ით, ხოლო უცხოური ბარათებით შესრულებული ოპერაციები - 37%-ით არის გაზრდილი.

2019 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 174%-ით გაიზარდა და 207 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ახალი ინვესტიციების მოცულობა 266.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 51%-ით არის გაზრდილი. ამავე პერიოდში რეინვესტიციის მაღალი მაჩვენებელი (73.2 მლნ აშშ დოლარი, ზრდა - 68%) და მკვეთრად გამოხატული ზრდის ტრენდი იკვეთება.

2020 წლის საპროგნოზო მონაცემებით, რეგიონის საინვესტიციო პორტფელის ათვისების

ჯამური ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს და ტურიზმის სექტორის წილი საინვესტიციო პორტფელში 55% იქნება.

ბიუჯეტი

აჭარის მთავრობა მასში შემავალი უწყებების კოორდინაციის შედეგად, მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით, პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტს ამზადებს, რომლის ფარგლებში არა ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.
ახალი კორონავირუსის გავრცელების გათვალისწინებით, რეგიონის წინაშე არსებულ ახალ საჭიროებებთან, მთავარი ფინანსური დოკუმენტის სრული ადაპტაცია განხორციელდა. ვირუსის გავრცელების პერიოდში, პირველ ეტაპზე, რასაც მოკლევადიან ეფექტს ვუწოდებთ, აჭარის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებული თანხებით, დაახლოებით 23 მლნ ლარზე მეტის მობიზილება განხორციელდა, საიდანაც 12 მლნ ლარზე მეტი საქონელი და მომსახურების მუხლით მიღებული ეკონომიაა. საერთო მობილიზებული თანხიდან 2,5 მილიონი ლარი წმინდა ადმინისტრაციული ხარჯებიდან დაიზოგა. 23 მლნ ლარი, აჭარაში ყველაზე აუცილებელი ღონისძიებებისთვის იქნა გათვალისწინებული. კერძოდ:

- 7 300 000 ლარი ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მიიღო, რაც მოქალაქეების საკარანტინო ზონებში განთავსებისა და მათთვის სათანადო პირობების შექმნისთვის არის განკუთვნილი;
- 9 000 000 ლარი აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიიღო, რაც სამედიცინო დაცვის საშუალებების შეძენის, რესპუბლიკური საავადმყოფოს აღჭურვა/ამოქმედებისთვის არის გათვალისწინებული;
- სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ კუთხით სხვადასხვა პროგრამები ამოქმედდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის** საშემოსავლო ნაწილი (შემოსულობები) 78 879 500 ლარს შეადგენს, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 11 629 300 ლარით, ანუ 17,3 %-ით მეტია.

2020 წლის პირველი კვარტლის **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი, 2019 წელთან შედარებით, 12 358,6 ათასი ლარით, ანუ 19%-ით გაიზარდა და 2020 წლისთვის 77,4 მილიონი ლარით განისაზღვრა;

აჭარაში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტის მეორე ეტაპი სრულდება. პროექტის ფარგლებში, 2020 წლის დასაწყისში, პირველად, კურორტზე ბუნებრივი გაზი აინთო. პროექტის მეორე ეტაპი შუახევიდან-გოდერძამდე 56 კმ გაზსადენის მილების მოწყობას ითვალისწინებს და ჯამში 15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება.
პროექტის პირველ ეტაპზე სალიბაურიდან-ხიჭაურამდე 63 კმ მონაკვეთზე გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა, რაც 11 900 აბონენტის გაზიფიცირებას მოიცავს.

დღეისათვის ასევე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, გაზიფიცირე-ბისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს აჭარის რეგიონის 4 მუნიციპალიტე-ტის 31 დასახლებულ პუნქტში ახორციელებს.
ივნისის თვეში საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ქობულეთის მუნიციპალიტეტის 6 დასახლებულ პუნქტში დასრულდება და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო პროცედურები დაიწყება. შედეგად 9000-მდე აბონენტს ბუნებრივი გაზით სარგებლობის საშუალება ექნება. მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 26 000 000 ლარია.

მაღალმთიანი აჭარის განვითარება

- დასრულდა „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ დოკუმენტზე მუშაობა, რაც კურორტზე საინვესტიციო პროცესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ახალი სათხილამურო ტრასის მოწყობა.

- განხორციელდა „მწვანე ტბის“ რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპი. ტერიტორიაზე საპიკნიკე, დასასვენებელი ადგილები, ბილიკები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყო. პროექტი ტურისტული სერვისების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.
- მიმდინარეობს კურორტ „ბეშუმის“ განვითარება, რაც ტერიტორიის ურბანული პოლიტიკის შექმნას და სამომავლოდ ბეშუმის სწორად განვითარებას ითვალისწინებს. კურორტ „ბეშუმი“-სა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი მომზადდა. ბეშუმის განვითარების მიზანია, კურორტი გახდეს 4 სეზონზე მიმზიდველი ადგილი.
- დასრულდა აჭარაში (სოფელ დანდალოში, სოფელ ნენიაში, სოფელ სახალვაშოში) საპიკნიკე ადგილების მოწყობის პროექტი. ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ გზაზე ტურისტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყო.

აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობასა და ბათუმსა და ქობულეთში არსებული ძველი, არასტანდარტული ნაგავსაყრელების დახურვას (1 ბათუმში, 2 ქობულეთში) ითვალისწინებს.

პროექტი აჭარაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, აჭარაში ეკოლოგიური, სოციალური, ტურისტული გარემოს გაუმჯობესებას და ალტერნატიული ენერგიის მიღებას უზრუნველყოფს. ბიუჯეტი 7 მილიონი ევროა.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

აჭარაში წყლის სისტემის განვითარების პროექტი მიმდინარეობს. პროექტით აჭარაში მცხოვრები 215 000 აბონენტი ისარგებლებს. პროგრამის მიზანია აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემის დანერგვა, საინვესტიციო

და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, გარემოს დაცვა და წყლის რესურსების შენარჩუნება. შერჩეულ ტერიტორიებზე ადგილობრივი წყალმომარაგების კომპანიების გაძლიერება, ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა, კონსულტანტების დაქირავება და საინვესტიციო პროექტების მომზადება განხორციელდება. პროექტის ბიუჯეტი 59,5 მილიონი ევროა.

ამ ეტაპზე უკვე მზად არის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტი ქედის, ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სამ სოფელში (ტიბეთა, დიოკნისი, მუხაესტატე). უკვე გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი ექსპლუატაციისთვის საჭირო მოწყობილობების შესაძენად. წელსვე დაიწყება სატენდერო პროცედურები აღნიშნულ სოფლებში წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის დასაწყებად. პარალელურად აჭარის სხვა დაბებსა და სოფლებში საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას აგრძელებენ.

ბათუმის საფეხბურთო სტადიონი

დასკვნით ეტაპზეა ბათუმის საფეხბურთო სტადიონის მოწყობა. 20 000 მაყურებელზე გათვლილი, უეფას მე-4 კატეგორიის სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი აჭარაში ჯანსაღი ცხოვრების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე სხვადასხვა სისტემის ტესტირების პროცესი მიმდინარეობს. საფეხბურთო სტადიონი გარდა სპორტული აქტივობებისა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსაც უმასპინძლებს.

ბათუმის სპორტული კომპლექსი

დასკვნით ეტაპზეა ბათუმის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. სპორტული ობიექტი 23 000 კვ. მეტრზე მოეწყობა და ის 3400 მაყურებელზე იქნება გათვლილი. კომპლექსში 12 სპორტული სახეობა დაიწყებს ფუნქციონირებას.

ძალოსნობის სავარჯიშო ბაზა

ჩაქვში ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის პროექტის განხორციელება დაიწყო. ეს იქნება ახალი სივრცე სპორტსმენებისთვის, რომელიც შეჯიბრებებისთვის მათ სრულფასოვან

მომზადებას უზრუნველყოფს. ბაზაზე სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი.

საინვესტიციო პოლიტიკა

აჭარაში საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის ეფექტურად განხორციელების და სრულყოფის მიზნით, აჭარის მთავრობის განკარგულების ფარგლებში **ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი წესი** ამოქმედდა.

წესის მოქმედება იმ ინვესტორების მიმართ ვრცელდება, რომლებსაც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ხელშეკრულებით ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულებები და მიმართავენ სამინისტროს პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავი-სუფლების მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში 60 საინვესტიციო პროექტი უკვე განახლდა, რომელთა განსახორციელებელი ჯამური ინვესტიცია 561 413 000 ლარს და 312 650 000 აშშ დოლარს შეადგენს (ჯამში დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარი). კომპანიების მიერ წარმოდგენილია საბანკო გარანტია - 7 391 812 ლარი და 314 000 აშშ დოლარი (დაახლოებით 8,3 მლნ ლარი)

აჭარაში განხორციელებული ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შედეგად, აჭარის **საინვესტიციო პორტფელი 4 მილიარდ ლარს აჭარბებს.** აჭარის მთავრობის მიერ მომზადებული ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი რეგულაციის ფარგლებში, აჭარაში ბოლო **1 წელში, 1 მილიარდი ლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტები განახლდა.** შედეგად აჭარაში არ არის არც ერთი შეჩერებული მსხვილი საინვესტიციო პროექტი.

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერა

ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში, აჭარაში მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა მოქმედებს. პროგრამის მიხედვით, სუბიექტებისთვის სესხის დამტკიცებისა და გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგად შერჩეული კომერციული ბანკი ახორციელებს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას მოახდინოს პროგრამის ბენეფიციართა თანადაფინანსება 12%-ის ოდენობით (15%-დან), სამი საანგარიშო წლის განმავლობაში.

2019 წელს პროგრამით 10-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, თანადაფინანსების ჯამური თანხა 48,100 ლარია. სულ პროგრამით 41 ბენეფიციარმა ისარგებლა, თანადაფინანსების ჯამურმა თანხამ - 610,220 ლარი შეადგინა.

სოფლად მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამა - „იდეებიდან წარმატებამდე“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, სოფლად მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მხარდამჭერ საგრანტო პროგრამას ახორციელებს. პროგრამის ბიუჯეტი 2 მლნ ევროზე მეტია.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას (ტურისტული მომსახურების ბიზნესი, მომსახურებისა და საყოფაცხოვრებო სერვისის ბიზნესების აღჭურვა, მცირე წარმოება და ხელნაკეთი ნივთების წარმოება), ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას, რაც შედეგად სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას განაპირობებს.

აჭარაში ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მიზნით, ეკონომიკური ობსერვატორია ფუნქციონირებს. პროგრამის მისიაა აჭარის სამთავრობო უწყებების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების შეფასების პროცესში. ობსერვატორია ახალი საბიუჯეტო პროგრამის ინიცირების დროს, კონკრეტული პროგრამის საჭიროების კვლევის ჩატარებას და რეკომენდაციების მომზადებას ითვალისწინებს. სამუშაო ჯგუფის მიერ კერძო და

საჯარო სექტორის თანამშრომლობის (PPP) სამომავლო პროექტების იდენტიფიცირება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება განხორციელდა. მცირე სამრეწველო ზონის ორგანიზების მიზნით საწარმოების საჭიროებების, ავეჯის მწარმოებელი კომპანიების, ნარჩენების გადამუშავების, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის დაფინანსების მექანიზმების კვლევა მომზადდა.

პროგრამის ფარგლებში ასევე სხვადასხვა ეკონომიკური კვლევები განხორციელდა:

- ბათუმის უძრავი ქონების ბაზრის კვლევა;
- იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივები-ადგილობრივი წარმოების განვითარება;
- აჭარის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სრული აღწერა-ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო. პროგრამა ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების ამოქმედებასა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, ასევე პოტენციური ინვესტორებისთვის მონაცემების ვებ-სივრცეში განთავსებასა და მათთვის ასევე პირდაპირ შეთავაზებებს ითვალისწინებს.

აჭარაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლოკაციის განვითარება დაიწყო. მომზადდა 440 ჰექტარზე **დაბა ჩაქვისა და კურორტ ციხისძირის სანაპირო ზოლის განაშენიანების რეგულირების გეგმა.** აღნიშნული ადგილი განტვირთვისა და პასიური დასვენებისათვის იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების დაყოფა და მათი საინვესტიციოდ მომზადება მიმდინარეობს.

შეიქმნა გონიოს განვითარების ხედვა. პროექტი გონიოს 48 ჰექტარი ტერიტორიის ეკომეგობრულ მრავალფუნქციურ განვითარებას ითვალისწინებს. ეს არის ასევე ახალი საინვესტიციო შესაძლებლობა აჭარისათვის, რაც რეგიონის ტურისტულ და ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ახალი ტურისტული ლოკაციის განაშენიანება მდგრადი

ეკონომიკური განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით მოხდება. უკვე ჩატარდა გონიოს განვითარების წინამოსამზადებელი სამუშაოები. გარდა ამისა უკვე დასრულდა გონიო-კვარიათი და დასკვნით ეტაპზეა სარფის მთიანი ნაწილის ურბანული განვითარების დეტალურ სივრცით-გეგმარებით კონცეფციებზე მუშაობა.

აზიის განვითარების ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რაც **ბათუმის ბულვარის გაგრძელებ**ასა და გონიოს პოლიგონის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებას ითვალისწინებს.

დაიწყო აჭარაში სპორტული ტურიზმის როგორც ახალი საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობა. მომზადდა აჭარის **სპორტული ტურიზმის კვლევა და გომარდულის განვითარების გეგმა,** რომლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საინვესტიციო შეთავაზება, რომელიც როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინვესტორებს წარედგინება. პროექტი 40 ჰექტარ ტერიტორიაზე სპორტული, რეკრეაციული და სასტუმრო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის მიზანია გომარდული გახდეს 4 სეზონზე გათვლილი კურორტი. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტებთან, რათა სპორტული ტურიზმის მიმართ რეგიონში არსებობდეს ერთიანი მიდგომა ადგილობრივი გადასახადის კუთხით და სპორტული ობიექტები გათავისუფლდნენ ქონების გადასახადის დაბეგვრისაგან.

ინტენსიურად მიმდინარეობს სათხილამურო **კურორტ „გოდერძის“ განვითარება.** ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ტერიტორიაზე არსებული 80 საკოტეჯო ადგილის პრივატიზება იგეგმება. ამ დროისათვის კურორტზე 19 მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს, რომლის საინვესტიციო ღირებულება 150 მლნ ლარს აღემატება. გოდერძის უღელტეხილი წარმოადგენს ქვეყნის სამხრეთ ურბანული ღერძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰაბს, რომლის კომპლექსური განვითარების კონცეფციაზე მუშაობა მიმდინარეობს.

აჭარაში „ეთნოსოფლის“ პროექტი ხორციელდება. მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარების პირველი რიგის სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობისა და მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდა.

დაიწყო სამრეწველო ზონის განვითარება. ახალი პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არანაკლებ 50 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთებზე საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის ეკონომიკური გათვლების მიხედვით მოსალოდნელია 75 მლნ ლარის კერძო ინვესტიცია, რითაც დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილი შეიქმნება. მომზადდა გზებისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტი, რომლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დაწყება მიმდინარე წელს არის დაგეგმილი. გარდა ამისა, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ მიღწეული შეთანხმებით, კომპანია ახალი ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობას უზრუნველყოფს, რაც ბათუმის ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობასა და ენერგოუსაფრთხოებას გაზრდის.

მიმდინარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორიებზე სამრეწველო ზონის შექმნა, რომელიც კვების მრეწველობისათვის იქნება გათვლილი. კერძოდ, სასაწყობე, გადამამუშავებელი და მწარმოებელი კომპანიებისათვის, რათა დაცული იყოს ეკოლოგიური სტანდარტები. „კვების მრეწველობის ინდუსტრიული ზონა“ დაახლოებით 35 ჰა ფართობს მოიცავს და მოსალოდნელია 30 მლნ კერძო ინვესტიციის მოზიდვა და 1000 სამუშაო ადგილის შექმნა.

ქობულეთის განვითარება აქტიურად მიმდინარეობს. მიმდინარეობს უპრეცედენტო, ნახევარი მილიარდი ლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტი, რომლის ფარგლებში მულტიფუნქციური **„მწვანე ქალაქი“** აშენდება. უმსხვილესი პირდაპირი ევროპული ინვესტიციის განხორციელება ქობულეთში 180 ჰექტარზე დაიწყო. „მწვანე ქალაქის" პროექტის ფარგლებში საინვესტიციო ტერიტორიის 70%-ზე სარეკრეაციო ზონა მოეწყობა. პროექტში გათვალისწინებულია გოლფის მოედანი, საფეხბურთო მოედნები, საჩოგბურთო კორტები, სხვადასხვა ზომის საცურაო აუზები, რეკრეაციული ზონები, ველობილიკი, სარბენი ბილიკი, დასასვენებელი ზონები და სათამაშო მოედნები. ასევე აშენდება 250 ნომრიანი მაღალი კლასის სასტუმრო, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპა-ცენტრით ევროპაში, სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებით, საკონფერენციო დარბაზითა და ვილებით. სასტუმროსა და გამაჯანსაღებელი ცენტრის მართვას საერთაშორისო ბრენდი განახორციელებს. აჭარის მთავრობასა და კომპანია „გრინ რეზორთს“ შორის გაფორმებული საინვესტიციო შეთანხმების თანახმად, მშენებლობის პროცესში და ოპერირებისას 500 ადამიანი დასაქმდება.

ქობულეთის ტურისტული ზონის განვითარების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტთან, ბიზნეს წრეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, **საკანონმდებლო ინიციატივა** მომზადდა, რომელიც უმაღლეს საბჭოს წარედგინა. პროექტი საინვესტიციოდ მიმზიდველი ისეთი წინადადების მომზადებას ითვალისწინებს, რაც ქობულეთის ტურისტული ზონისადმი ინტერესის ზრდას და ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების კიდევ ერთი პროექტი მომზადდა, რომელიც მთავრობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს. პარლამენტმა მესამე მოსმენით ცვლილებების პროექტი მიიღო, რომლის საფუძველზე უახლოეს მომავალში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მომზადდება, რაც უმოქმედო საწარმოების ლიკვიდაციის დაჩქარებას უზრუნველყოფს. მიმდინარე წელს არანაკლებ ხუთი უმოქმედო საწარმოს ლიკვიდაცია/შერწყმა იგეგმება.

საერთაშორისო ურთიერთობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღიარება საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების მიერ კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის გამო. ქვეყნისა და რეგიონის საერთაშორისო პარტნიორები ერთხმად აღნიშნავენ პანდემიასთან ბრძოლის პირობებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოსა და აჭარის მთავრობების მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობას. აღსანიშნავია, რომ არსებულ ვითარებაში დღემდე ჩვენს ქვეყანას მინიმალური დანაკარგი აქვს. საქართველო ამ მხრივ ინარჩუნებს ლიდერ პოზიციას.

პანდემიის პირობებში სტრატეგიული კოორდინაციისა და კრიზისის მართვის უნარებით აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ არა ერთხელ მოიპოვა განსაკუთრებული აღიარება მეგობარი სახელმწიფოებისაგან, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან.

ევროპის რეგიონთა ასამბლეამ (AER) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას (და სხვა წევრ რეგიონებს) მადლობა გადაუხადა COVID19-ით გამოწვეული კრიზისის დროს ევროკავშირის მონაწილეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველ-ყოფისათვის. კერძოდ, ევროპის რეგიონთა ასამბლეის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ აჭარამ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში, ორგანიზება გაუწია საგანგებო დანიშნულების ფრენას, რის შედეგადაც პროგრამის მონაწილე ქართველი და უცხოელი ტრენერები სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნდნენ;

ევროპის რეგიონთა ასამბლეამ (AER) კვლავ გაამახვილა ყურადღება აჭარის აქტიურობაზე და ამჯერად აჭარის ახალგაზრდა მოხალისეების საქმიანობა წარმატებულ მაგალითად აღიარეს ევროპაში;

COVID-19-თან ბრძოლის ფარგლებში საქართველოსა და აჭარის მთავრობების მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა და უწყებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები იქნა განხილული **ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის** (IRE) ხელმძღვანელობასა და აჭარის მთავრობას შორის.

პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში რეგიონისა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა, არსებული გამოწვევები იქნა განხილული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და **პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს** მარშალის ოფისს შორის გამართული ვიდეო კონფერენციის დროს;

ევროპაში პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმამ **„European Best Destinations“** ბათუმი და თბილისი ევროპაში ათ ყველაზე უსაფრთხო ტურისტულ მიმართულებებს შორის დაასახელა.

რეგიონის უსაფრთხო ტურისტული დანიშნულებისა და ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიები გამოქვეყნდა ესპანეთის, ლატვიის, პოლონეთის, ყაზახეთის, ბელარუსის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მედია საშუალებებში;

ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემა **“Emerging Europe“**-მა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა მიმოიხილა სტატიაში და ბათუმის ტურისტულ შესაძლებლობებზე

გაამახვილა ყურადღება. გამოცემა მოუწოდებს მკითხველს ბათუმში, როგორც უსაფრთხო ტურისტული დანიშნულების ადგილზე დასვენებისაკენ;

გრძელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურობა აჭარაში. ხელი მოეწერა მსხვილ სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს ისეთ დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა KfW, UNDP, CENN. მოხდა სხვადასხვა დარგში პროექტების ინიცირება.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

2019 წლის მონაცემებით, აჭარაში 2 002 540 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. 2018 წელთან შედარებით ზრდა - **3.7 %.**

2019 წელს 2018 წელთან შედარებით ბათუმის აეროპორტში ვიზიტორების **7.9%-იანი ზრდა** დაფიქსირდა. ტურისტულ სეზონზე ბათუმის აეროპორტს 6 ახალი მიმართულება დაემატა (მათ შორის ჩარტერები ესტონეთიდან და ლიეტუვიდან) და ჯამში 24 მიმართულებაზე შესრულდა რეისები.

საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა ნარჩუნდება როგორც ტრადიციული ბაზრებიდან, ასევე ევროკავშირის ახალი სამიზნე ქვეყნებიდან: ესტონეთი +67.3% , გერმანია +27. 7%, ლიეტუვა +59.6%, ლატვია+103 %.

აჭარის მუნიციპალიტეტებში სამთო, ეკო და სოფლად არსებულ ტურისტულ მარშრუტებზე ვიზიტების რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით **94.21%**-ით გაიზარდა, რაც 238 665 ვიზიტს გულისხმობს (ქობულეთის მუნიციპალიტეტში + 137.15%, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში +93.7 %/ ქედის მუნიციპალიტეტში + 56.7 %, შუახევის მუნიციპალიტეტში + 29.62%, ხულოს მუნიციპალიტეტში +56.7%) .
აჭარის დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში 2019 წლის მონაცემებით, ვიზიტორთა რაოდენობა, 2018 წელთან შედარებით, 48.45%-ით გაიზარდა, რაც 109 757

ვიზიტორს გულისხმობს.

2019 წელს, აჭარა პირველად დასახელდა თბილისის შემდეგ შიდა ტურისტებისათვის ყველაზე მონახულებად რეგიონად. 2019 წლის მონაცემით აჭარის რეგიონში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 1 980 000 (+ 11.59 %) შეადგინა.

2019 წელს ბათუმმა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო World Travel Awards-ზე მოიპოვა და 2019 წლის ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულება გახდა. AIRBNB-მ ბათუმი 2019 წლის 19 ტრენდულ ქალაქს შორის დაასახელა, THE NEW YORK TIMES-მა კი 2019 წლის 52 ტრენდულ ადგილებს შორის მოიხსენია.

ცნობადობის გაზრდისა და რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით აჭარის რეკლამირება 16 სამიზნე ქვეყანაში განხორციელდა:

- სატელევიზიო რეკლამა: EURONEWS, BBC, DEUTSCHE WELLE, NATIONAL GEOGRAPHIC CHANNEL, TRAVEL CHANNEL, LNK.
- ონლაინ პლათფორმები: Youtube, Facebook , Instagram, Google Ads.
- გარე რეკლამა 9 ქალაქში (კრაკოვი, ვროცლავი, ვილნიუსი, რიგა, ტალინი, კიევი, მინსკი, ერევანი, ნურსულთანი).
- პირველად განხორციელდა აჭარის, როგორც ახალი და საინტერესო ტურისტული მიმართულების პოზიციონირება მსოფლიოში ცნობილ სამოგზაურო, ონლაინ დაჯავშნის პორტალზე Expedia.com.
- აჭარა წამყვანი გამოცემების ყურადღების ქვეშ მოექცა: Vogue, Forbse, Zoo Magazine, Cosmopolitan, Travel, Emerging Europe.
- აჭარის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონის ტურისტული პროდუქტები 27 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იყო წარდგენილი. რეგიონმა 20-მდე ქვეყნის 500-მდე ჟურნალისტსა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელს უმასპინძლა.

2020 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში აჭარაში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ 169 910 ვიზიტი განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით **2.9 % - ით** მეტია. ანალოგიურ პერიოდში ზრდა დაფიქსირდა ბათუმის აეროპორტშიც.

მსოფლიოს ახალ პანდემიად გამოცხადებული კორონავირუსის გამო, ტურიზმის,

ავიაციისა და ეკონომიკის სფერო განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა. შეჩერდა ფრენები ქვეყნებს შორის და შეიზღუდა მოგზაურობა.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაიწყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლის შეზღუდვა საზღვრებზე. პარალელურად კი საქართველოს მოქალაქეებისა და ქვეყანაში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებები გატარდა.

პრემიერ-მინისტრთან არსებული კორონავირუსის მართვის საკორდინაციო საბჭოს და აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, აჭარის რეგიონში საკარანტინე ზონების შერჩევა, მოწყობა და მართვა დაევალა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ბიუჯეტსა და პროექტებში შევიდა ცვლილებები.

აჭარის რეგიონში საკარანტინე ზონების შერჩევა, მოწყობა და მართვა

მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების პრევენციის მიზნით, აჭარაში 28 საკარანტინო ზონა შეირჩა. მოხდა სასტუმრო პერსონალის გადამზადება. ასევე სასტუმროების და იქ არსებული სერვისების ადაპტირება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებთან. საკარანტინე ზონების მომსახუ-რებით რეგიონში დღემდე 8600-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

საკარანტინე ზონების მოწყობა სასტუმროებში უკვე დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე უპრეცედენტო პროექტად და მიჩნეულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხრიდან ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს უსაფრთხო სტატუსისა და იმიჯის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძებების გატარება, ქვეყნებს შორის ე.წ. მწვანე კორიდორების მოწყობისა და ტურისტების გაცვლის მიზნით. **საქართველოს ევროპის ქვეყნებში ყველაზე დაბალი კოვიდ სტატისტიკა აქვს.** აჭარის რეგიონი გამოცხადდა **მწვანე ზონად,** რაც ტურისტული მიმართულებისათვის განსაკუთრებული პრიორიტეტია.

ევროპაში პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations **ბათუმი** ევროპაში ყველაზე **უსაფრთხო ტურისტული მიმართულებების ტოპ ათეულში** დაასახელა. European Best Destinations-ის 20 ყველაზე უსაფრთხო სამოგზაურო მიმართულებებად ბათუმთან ერთად დასახელებულია თბილისი, კორფუ, ზაგრები, ვარშავა, ვენა, ვილნიუსი, რიგა.

2020 წელს, დაგეგმილია 1500-ზე მეტი ტურიზმის სფეროში მომუშავე პირის გადამზადება.

ტურისტული პროდუქტების განვითარება და ტურისტულ მარშრუტებზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა

ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ახალი კორონავირუსის პირობებში, საქართველოში შიდა ტურიზმის სტიმულირება 2020 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მომზადდა სოციალური მედია კამპანიები შიდა ტურიზმის სტუმულირებისათვის.

მიმდინარეობს **ჩირუხის ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტის** მომზადება, რომელიც გულისხმობს ჩირუხის მთის ტურისტული პროდუქტისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას.
მომზადდა **ქობულეთის** მუნიციპალიტეტის სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა. შეიქმნა **ხულოს** ცენტრთან ახლოს მდებარე სოფლების ტურისტული პოტენციალის კვლევა. ჩატარდა **სოფელ უჩხოში** არსებული ჩანჩქერების პოტენციალის კვლევა. მიმდინარეობს **ქედისა და ხელვაჩაურის** მუნიციპალიტეტების სოფლებში ტურისტული პოტენციალის შესწავლა. შეიქმნა **ჭვანის** ხეობის ტურისტული განვითარების გეგმა. მიმდინარეობს **ხიხანის** ციხეზე (2063 მეტრი ზღვის დონიდან) მისასვლელი ბილიკის პროექტის მომზადება.

მიმდინარეობს მაღალმთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალისა და **ტურისტული**

მარშრუტების ვებ-გვერდის მომზადება, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა მოქმედი ტურისტული მარშრუტი.

ბათუმის ბულვარი

ბულვარის კონსერვაციისა და განვითარების კონცეფცია

მიმდინარეობს ბულვარის კონსერვაციისა და განვითარების კონცეფციაზე მუშაობა.
გეგმა, რომელიც 2020 წლის ბოლომდე დამუშავდება, განსაზღვრავს ბულვარის სამომავლო განვითარების პროექტს. პროექტის მთავარი მიზანია შემუშავდეს ბათუმის ბულვარის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფცია, მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით.

ამ ეტაპისათვის საპროექტო ჯგუფი სანაპირო ზოლის დაგეგმარების ნაწილზე მუშაობს. კონცეფციის ძირითადი ორიენტირი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ბულვარისათვის არსებული იერსახის მაქსიმალურად შენარჩუნება, ძველი ბულვარის კონსერვაცია და სარეკრეაციო ზოლის მოწესრიგება იქნება.

განაშენიანების გეგმის შემუშავებაში ჩართული საპროექტო ჯგუფი საქართველოში დარგის საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტდა. კონცეფციის ამოცანაა ბათუმის ბულვარის ისტორიულად ჩამოყალიბებული იერსახის მაქსიმალურად შენარჩუნება და აღდგენა.

„ლურჯი დროშის“ პროექტი

ბათუმის ბულვარი აქტიურად არის ჩართული „ლურჯი დროშის“ პროექტში. მიმდინარე წელს, ბათუმის ბულვარი გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) აფილირებული წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელი გახდა.
(FEE)-ს პარტნიორული წევრობა სსიპ ბათუმის ბულვარს საშუალებას მისცემს იყოს საქართველოში უპრეცედენტო პროექტის „ლურჯი დროშის“ პროგრამის განხორ-

ციელების პასუხისმგებელი უწყება. ფონდის წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, აგრეთვე ითვალისწინებს გარემოს საგანმანათლებლო ფონდსა და ბათუმის ბულვარს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლოდ გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბულვარის საპლაჟო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. 2019 წელს ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლი შშმ პირთათვის ადაპტირდა. ახალ ბულვარში ბავშვთა გასართობი მოედანი სრულად განახლდა. ასევე, განხორციელდა ზოოკუთხის რეკონსტრუქცია და ფრინველების ახალი აუზის მოწყობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

2019 წელს:

- 54 კმ ასფალტობეტონის გზა მოეწყო;
- აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 19 ხიდს;
- მოეწყო 303 ხელოვნური ნაგებობა;
- 114 კმ გზაზე მოეწყო ცემენტობეტონის საფარი,

2020 წელს ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილია:

- 67 კმ ასფალტობეტონის საფარის მოწყობა;
- 17 ხიდის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- 257 ხელოვნური ნაგებობის მოეწყობა;
- შიდა სასოფლო გზებზე 130 კმ მონაკვეთზე დაიგება ცემენტობეტონის გზა.

2019 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 54 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2020 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი გაიზარდა და 64 მილიონ ლარს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დასაქმების პროგრამები.

მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, სიახლეები დაინერგა სოციალური დაცვის სფეროში, შეიქმნა ახალი პროგრამები და ქვეპროგრამები, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- ონკოლოგიურ პაციენტთა ძვირადღირებული მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
- ძვირადღირებული კარდიოქირურგიული ოპერაციების დაფინანსება;
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაციების დაფინანსება (18 წლამდე ბავშვების უცხოეთში);
- მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება;
- გაორმაგდა შშმ პირთათვის გათვალისწინებული სერვისების დაფინანსება;
- დაიწყო ინფექციურ დაავადებათა ინტეგრირებული სკრინინგი;
- ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა;
- მზრუნველობამოკლებულ პირთა მხარდაჭერა;
- მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების არა ერთი პროგრამა.

ბოლო 1 წლის განმავლობაში აჭარაში მოსახლეობას ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და დასაქმების მიმარულებით 106 305 სახის სხვადსხვა სერვისი მიეწოდა:

- ჯანმრთელობის დაცვის სერვისი 17 489 მოქალაქეს;
- სოციალური დაცვის სერვისი 14 316 მოქალაქეს;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 71 930 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგული და სხვა კვლევა.

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო

დასრულდა ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფო მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. რესპუბლიკური საავადმყოფო უახლესი სამედიცინო ინვენტარით აღიჭურვა და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება, რისთვისაც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტში უკვე განსაზღვრულია **8 855 000 ლარი.** კლინიკაში COVID19-ის ცხელების ცენტრი განთავსდა და დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში ინფიცირებული პაციენტების მისაღებად მზად არის. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობით სამუშაო ჯგუფი შეიქმნება და ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ასევე საუნივერსიტეტო კლინიკა განთავსდება, რითაც სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

ოცნების ქალაქი

2019 წლის თებერვლის თვეში მიღებულ იქნა უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელიც აჭარაში წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სოციალურ პრობლემას გადაჭრის. გადაწყვეტილების თანახმად ე.წ. „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსი შენდება, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას უზრუნველყოფს. „ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მოსახლეობა წლების განმავლობაში უკიდურესად მძიმე, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ პირობებში ცხოვრობდა. მასშტაბური სოციალური პროექტი აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 38,7 მილიონი ლარია. კომპლექსი 582 ბინისაგან შედგება.

მშენებლობის შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებულია სკოლის, საბავშვო ბაღის და სათამაშო მოედნების მოწყობა.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

აჭარის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკომიგრანტი ოჯახების დახმარება. ამ მიზნით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით, ბოლო **1 წლის განმავლობაში თანადაფინანსებით საცხოვრებელი ფართი 120-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა,** დაფინანსება - 3,073,263 ლარი.

- თავშესაფრით უზრუნველყოფილია სხვადასხვა სოციალური კატეგორიის 246 პირი, ბიუჯეტი - 844,775 ლარი;
- საცხოვრებელი ფართები უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა 13 ეკომიგრანტ ოჯახს;
- დასაქმების სააგენტოს ხელშეწყობით სხვადსხვა პოზიციაზე დასაქმდა 2088 მოქალაქე.

აჭარის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარლებეულ 349 ოჯახზე გაიცა ფინანსური დახმარება 1 147 843 ლარის ოდენობით. 2020 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 801286 ლარი. 692996.19 ლარი დაიხარჯა პაციენტების მკურნალობის, ერთჯდერადი მატერიალური დახმარებისა და მედიკამენტების შესაძენად:

- 147873.19 ლარი - 39 პაციენტის მკურნალობისათვის;
- 530123 ლარი - 92 ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისთვის;
- 15000 ლარი - მედიკამენტის შესაძენად.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის ბიუჯეტი 2019 წლის დასაწყისში დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 3 237 365 ლარით **გაიზრდა (18%)** და 21 000 000 ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბიუჯეტი კვლავ გაიზარდა 8 137 735 ლარით და ჯამში 29 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად **37 პროგრამას ახორციელებს.**

✓ 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა:

- 2020 წლიდან პირველად მოხდა 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის დაფინანსდება უცხოეთის სამედიცინო დაწესებულებში, ტრანსპლანტაციის სახეობიდან გამომდინარე დაფინანსების მოცულობა იზრდება 100 000 ლარიდან 210 000 ლარამდე;
- გაიზრდა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების (კერძოდ, მუცინიპალიტეტებში რეგისტრირებული) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება, რომლებიც შესაბამის სერვისს მიიღებენ საქართველოში;
- ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიით, ტრანსპლანტაციის წინა და პოსტრანსპლანტაციური პერიოდის მართვით, დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია ტრანსპლანტაციის სახეობაზე და განისაზღვრება 80 000 დან 150 000 ლარამდე;
- გაიზარდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება და ბათუმში რეგისტრირებული პირებისათვის 70 000 ლარს, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული პირებისათვის 100 000 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ როგორც ღვიძლის, ასევე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსების დროს გათვალისწინებულია თვითმმართველო-ბების დაფინანსების წყაროც;
- გაფანტული სკლეროზის მკურნალობა მაღალეფექტური, ძვირადღირებული მედიკამენტით 10 პაციენტის ნაცვლად, 20 პაციენტს დაუფინანსდება.

2020 წელს პირველად განხორციელდა რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსება ძვირადღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით.

2020 წელს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით 4 836 524 ლარი დაიხარჯა. 5 თვის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით 4 677 ვაუჩერი გაიცა.

2020 წელს განხორციელებული სიახლეები სოციალური დაცვის მიმართულებით

პირველად, 2020 წლიდან, დაიწყო მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს **18-დან 25 წლამდე ასაკის პირები,** რომლებიც აღარ იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, არ ჰყავთ თანადგომის ქსელი და ვერ ხერხდება მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების მიღებისა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, რისთვისაც გათვალისწინებულია ყოველთვიურად დაახლოებით 465 ლარი.

პირველად, 2020 წელს, დაიწყო ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა. არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისი, მომსახურებას განახორციელებს 24 საათის განმავლობაში. პროგრამაში ჩართვა ხორციელდება შესაბამისი სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა - 2019 წელი

2019 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის ბიუჯეტი წლის დასაწყისში შეადგენდა 17 722 635 ლარს, წლის განმავლობაში ფინანსური დოკუმენტი გაიზარდა და დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 22 082 744 ლარი (რეზერვის ჩათვლით). სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, 2019 წლის განმავლობაში, 32 პროგრამას ახორციელებდა.

2019 წელს, მოსახლეობის მომართვიანობისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში ცვლილებები განხორციელდა:

გაიზარდა ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება:

ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების შემთხვევაში გაიზარდა პაციენტების დაფინანსება 15 000 ლარით და 50 000 ლარის ნაცვლად 65 000 ლარი შეადგინა.

ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებს პროგრამის ფარგლებში პირველად დაუფინანსდათ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია 80 000-დან 150 000 ლარამდე.

გაფანტული სკლეროზით დაავადებულ პაციენტებს დადასტურებული დიაგნოზით დაუფინანსდათ გაფანტული სკლეროზის მკურნალობისათვის საჭირო მაღალეფექტური მედიკამენტების მკურნალობის კურსის ღირებულება. თითეულ პაციენტზე წლიური ლიმიტი შეადგენდა 25 000 ლარს.

საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსების პროგრამით გაიზარდა ბენეფიციარების დაფინანსების ზღვრული ტარიფი (დაფინანსების არსებული პროპორციების დაცვით) და **ნაცვლად 15 000 ლარისა გახდა 25 000 ლარი.**

განხორციელდა ძვირადღირებული ქირურუგიული ოპერაციული მკურნალობის (როგორც გეგმიური ასევე ურგენტული) თანაგადახდა სრულად სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

„ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების“ პროგრამაში მოიმატა ტარგეტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი (5000 ლარით) და **გახდა 15 000 ლარი.**

სოციალური დაცვის მიმართულებით ამოქმედდა 2 ახალი პროგრამა:

• „მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანადაყოლილი ამოვარდნილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“; „სმენაპროტეზირებულ ბავშთა რეაბილიტაცია“;

• გაფართოვდა მარტოხელა დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, 2019 წლიდან პროგრამას ბენეფიციარებად დაემატა სხვადასხვა პრობლემების მქონე დედები.

გაიზარდა სოციალური დაცვის თითქმის ყველა პროგრამის ბიუჯეტი და ბენეფიციართა რაოდენობა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დაიწყო აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკისა და დროული მართვის მიზნით პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებული რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-7 წლის ასაკის ბავშვთა აუტიზმის სკრინინგული შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკა.

დაიწყო რეგიონის მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება, 18 წლის ზემოთ ნებისმიერი პირისთვის ამბულატორიული მიღების და საკარდაკარო შემოვლის გზით.

2019 წელს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დაიხარჯა 9 633 092 ლარი. წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით გაიცა 12 812 ვაუჩერი, სამედიცინო მომსახურება გაეწია და ანაზღაურდა 11 109 პაციენტის მკურნალობის ხარჯები.

მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით 2019 წელს გამოკვლეულ იქნა 42 617 ბენეფიციარი.
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა სარეაბილი-ტაციო ცენტრის მომსახურების პროგრამის ფარგლებში 9 942 ვაუჩერი გაიცა.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა დამხმარე საშუალებები უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 1 104 ვაუჩერი გაიცა.

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 124 ვაუჩერი გაიცა.

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა მოქმედებს:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (1000 ლარი); 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული 19 სამხედრო მოსამსახურის, ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული 3 მეომრის ოჯახის მატერიალური დახმარება; დაღუპული მეომრების დედებისა და მეუღლეების მატერიალური დახმარება (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 23 ბენეფიციარს).

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებული ოჯახების გადაყვანა უსაფრთხო გარემოში. სამინისტრო ბენეფიციარებს 25 000 ლარის ფარგლებში უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, გეოლოგიურად უსაფრთხო ტერიტორიებზე მათთვის საცხოვრებელი ფართების შეძენის მიზნით. გასული წლის განმავლობაში **შეძენილია 117 უძრავი ქონება,** რისთვისაც სამინისტროს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველის ანგარიშზე გადაირიცხა 2 920 058 ლარი, 12 285 ლარი გადახდილი იქნა სარეგისტრაციო მომსახურების საფასური, ხოლო უძრავი ქონების ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ხელშეკრულების დადგენის მიზნით გადახდილი იქნა 60 800 ლარი, ჯამში 2 993 143 ლარი.

განათლება, კულტურა და სპორტი

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში 2020 წლისათვის დაგეგმილი, პროექტების ნაწილი, კორონავირუსის გავრცლების გამო, რიგ შემთხვევაში შეჩერდა ან მოხდა მათი ცვლილება.

ქვეყნის მასშტაბით ეფექტური განათლების პოლიტიკის შექმნის და მაღალი ხარისხის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უპრეცედენტო

რეფორმა დაიწყო. განათლების ხუთივე საფეხურზე რეგიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით.

აჭარაში განათლების პოლიტიკა ეფექტურად ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო დაწესებულებების შექმნას და ყველა ახალგაზრდისთვის ღირსეული განათლების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული მიმართულებით აჭარაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა.

განათლების ქალაქი

აჭარაში განათლების ქალაქის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რითაც აჭარა მალე განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა გახდება. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით, თანამედროვე, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამეცნიერო მუზეუმით. განათლების ქალაქში კომაროვისა და ხელოვნების სკოლა განთავსდება.

განათლების ქალაქში გათვალისწინებულია **250** მოსწავლეზე გათვლილი კომაროვის სკოლის თანამედროვე ტიპის ფილიალის მშენებლობა, სადაც მოეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ასევე, სპორტული მოედანი. სკოლა აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარით. პროექტის ფარგლებში აშენდება **100** მოსწავლეზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსი, მშენებლობის ღირებულება - **11 399 994** ლარი.

პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად ხორციელდება. ამავე სივრცეში აშენდება:

- ✓ პროფესიული სასწავლებელი;

- ✓ მულტიფუნქციური ცენტრი;
- ✓ ხელოვნების სკოლა;
- ✓ მოეწყობა რეკრეაციული ზონა.

ბათუმში იწყება კავკასიის უნივერსიტეტის მშენებლობა, რომელიც საერთაშორისო პროგრამებსა და სიახლეებს შემოიტანს აჭარაში. ახალგაზრდები საერთაშორისო სტანდარტების განათლებას ადგილზე დაეუფლებიან.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

აჭარაში განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მიმდინარეობს. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ტარდება კონკურსები და ოლიმპიადები, ფინანსდება სტუდენტების განათლება, მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

განსაკუთრებული ყურადღება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ინვენტარით აღჭურვას ეთმობა.

2019 წელს განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა:

2019 წლის ივნისის თვეში გაიზარდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი და **განისაზღვრა 53 მლნ ლარით.**

2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს **8 საჯარო სკოლის მშენებლობა და 2 სპორტული დარბაზი**, **20 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.**

მიმდინარეობს ბათუმის მე-6 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა. სკოლა მოიცავს სპორტულ და სააქტო დარბაზებს, ბიბლიოთეკას, ლაბორატორიებს. დაგეგმილია არსებული კორპუსისა და ტერიტორიის რეაბილიტაცია და ღია მოედნის

მოწყობა. სამუშაოების ჯამური ღირებულება 2 890 062 ლარს შეადგენს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის პარალელურად სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობა ხორციელდება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. სს ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა" და ლიეტუვური კომპანია შპს ,,Via Solis"-ის პარტნიორობით შემუშავებულმა პროექტმა, ლიეტუვის გარემოსდაცვის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტი მოიპოვა. პროექტის ფარგლებში ინოვაციური პროექტი დაიწყო და ბათუმში 13 საჯარო სკოლას მზის პანელები დაუმონტაჟდება.

- მზის ელექტროსისტემების ჯამური დადგმული სიმძლავრე 327.7 კვტ.-ს შეადგენს;
- პროექტის ჯამური ღირებულებაა 502 667 ევრო.

2019 წელს მილენიუმის ფარგლებში სამი საჯარო სკოლა დასრულდა. სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება USAID – თან ერთად.

<u>საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება</u>

- 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო მხატვრული ლიტერატურით;
- 10 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ელექტრონული ლაბორატო-რიით;
- 20 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით;
- 5 საჯარო სკოლა აღჭურვილია ლაბორატორიის კომპლექტით;
- 15 საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით;
- შეძენილია ბიბლიოთეკის რემოდელირების პროექტი.

2019 წელს აჭარაში 15 საჯარო სკოლა თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა. ბიუჯეტი- 220 000 ლარი;

2020 წელს აჭარაში 4 საჯარო სკოლა თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვება; ბიუჯეტი – 57 400 ლარი.

ბიბლიოთეკა

2019 წელს 20 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკა თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით განახლდა. ბიუჯეტი - 88 895 ლარი. ასევე, შეძენილია ბიბლიოთეკის რემოდელირების პროექტი.

2020 წელს 15 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკა თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით აღიჭურვა. ბიუჯეტი– 67 500 ლარი.

სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვა

2019 წელი :

- 5 საჯარო სკოლაში ლაბორატორიები აღიჭურვა. ბიუჯეტი - 51 000 ლარი;
- 10 საჯარო სკოლაში ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიები მოეწყო. ბიუჯეტი – 50 000 ლარი.

2020 წელი:

- 5 საჯარო სკოლაში ლაბორატორიები აღიჭურვება. ბიუჯეტი - 90 000 ლარი;
- 10 საჯარო სკოლა ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიებით აღიჭურვა. ბიუჯეტი – 50 000 ლარი.

სპორტული ინვენტარი:

2019 წელი - 20 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარით. ბიუჯეტი- 77 777 ლარი;

2020 წელი - 10 საჯარო სკოლა **უზრუნველყოფილია** სპორტული ინვენტარით. ბიუჯეტი– 50 000 ლარი.

სკოლებში სასწავლო გეგმასთან ერთად არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების რეალიზაციაზე ორიენტირებული აქტივობები განხორციელდა: საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი, ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი, სპორტული შეჯიბრი, სასკოლო კლუბების ინიციატივები.

2020 წელს დაფინანსდება საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი დაწყებითი და საბაზო

საფეხურის მოსწავლეებისათვის, ესეების კონკურსი, ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი, სპორტული შეჯიბრი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასკოლო კლუბების ინიციატივები.

განათლების ხელმისაწვდომობა

2020 წელს დაიწყო საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის განხოციელება, რომლის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ქვეპროგრა-მაში ჩართულია 180 საჯარო სკოლა. 2020 წელს ქვეპროგრამის **ბიუჯეტი შეადგენს 2 100 000 ლარს.**

2019 წელს მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ქედა, შუახევი, ხულოს საჯარო სკოლებში დასაქმდა 28 მასწავლებელი.
2020 წელს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმდა 28 მასწავლებელი.

უმაღლესი განათლება

ხორციელდება სტუდენტთა დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებას.

დაფინანსება გაიცემა წლის განმავლობაში ორჯერ, სემესტრში 1125 ლარის ოდენობით. დაფინანსდება სტუდენტები, რომლებიც არიან მაღალმთიანი აჭარიდან, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, სტუდენტები რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 100 000-ზე.

2020 წელს პროგრამას დაემატა 2 კატეგორია:

- სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- სტუდენტები, რომელთა მშობელს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი.

2019 წელს სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 891 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი. ბიუჯეტი - 950 400 ლარი

2019 წელს საქართველოს უნივერსიტეტებში **სწავლა დაუფინანსდა 900 სტუდენტს.**
2020 წელს დაფინანსება გაიცა 462 სტუდენტზე. დამატებით კონკურსი გამოცხადდება აგვისტოს თვეში.

სწავლა საზღვარგარეთ

პროგრამის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების აკადემიური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და გამოცდილების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი პოტენციალის განვითარებას.

2020 წელს კონკურსის წესით შერჩეული აპლიკანტები ერთი სემესტრის დაფინანსების 15 000 ლარს გრანტის სახით მიიღებენ. 2020 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაგეგმილია 15 სტუდენტის დაფინანსება.

საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2019 წელს გაიცა 56-ჯერ დაფინანსება. ბიუჯეტი იყო 673 600 ლარი.
2020 წელს გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი 870 000 ლარამდე და იგეგმება ჯამში 40-მდე სტუდენტის დაფინანსება. უკვე დაფინანსებულია 25. დამატებით კონკურსი გამოხადდა.

სტაჟირება უცხოეთში

აჭარის მთავრობა ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ასევე ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები ლექტორ-მასწავლებლებისა

და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ სტაჟირებას 3-7 თვის განმავლობაში ევროპის ასამბლეის წევრ ქვეყნებში.

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

2019 წელს დაფინანსდა 11 აპლიკანტი, ბიუჯეტი-26 270 ლარი,

სეზონური სკოლის მოწყობა:

2019 წელს დაფინანსდა - 4 სეზონური სკოლა. ბიუჯეტი-67 965 ლარი;

2020 წელს დაფინანსდება - 2 სეზონური სკოლა. ბიუჯეტი-50 000 ლარი.

კონფერენციის ორგანიზება:

2019 წელს დაფინანსდა - 4 კონფერენცია.ბიუჯეტი – 76 812 ლარი;

2020 წელს დაფინანსდება - 2 კონფერენცია. ბიუჯეტი- 80 000 ლარი.

უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა:

2017 წელს დასრულდა ერთი წიგნის (ავტორი: თომას ჰილანდ ერიქსენი) თარგმნა და დაიწყო მეორე წიგნის (ავტორი: დონოვან რიპკემა) თარგმნა. ბიუჯეტი-7 000 ლარი;

2018 წელს დაიბეჭდა 2 წიგნი: თომას ჰილანდ ერიქსენი და დონავან რიპკემა. ბიუჯეტი-19500 ლარი;

2020 წელს დაგეგმილია 2 წიგნის თარგმნა. ბიუჯეტი- 20 000 ლარი.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა:

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჭარის მთავრობის ხელშეწყობით არა ერთი მნიშვნელოვანი ინფრტასტრუქტურული პროექტი განახორციელა.

გაიხსნა ევროპული სტანდარტების, 200 სტუდენტზე გათვლილი ახალი საცხოვრებელი, ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე ციფრული ტექნიკით აღჭურვილი სინქრონული

თარგმანის ლაბორატორია, აშენდა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვევითი ინსტიტუტი;
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეპიდემიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით წარმატებით მიმდინარეობს ელექტრონული სწავლება, მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არც ერთ სტუდენტს პანდემიის პერიოდში გადაუხდელობის გამო, არ შეჩერებია სტუდენტის სტატუსი;

2019 წელს - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის დაფინანსდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპა-თოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, თანხით 961 640 ლარი;

2020 წელს - დაგეგმილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა. 2020 წლის ბიუჯეტი 1 089 300 ლარი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

2019 წელი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სამანქანე განყოფილებას ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტროობის, ინტერნეტქსელის და გათბობის სისტემების მონტაჟი). 2019 წლის ბიუჯეტი 899 576 ლარი

2020 წელი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში დაიწყო საწვრთნელი აუზის მშენებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიას გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი, გაზარდოს სტუდენტთა კონტინგენტი და რაც მთავარია მოამზადოს კვალიფიციური კადრები. არანაკლებ 30 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას. 2020 წლის ბიუჯეტი

800 000 ლარი.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

2019 წელს გაიხსნა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ახალი შენობა, რომლის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 3 600 000 ლარით დაფინანსდა.

განათლების სფეროში მნიშვნელოვანი პროექტებიდან ასევე უნდა აღინიშნოს:

- გაიხსნა პროფესიული სასწავლებელი ხულოს მუნიციპალიტეტში;
- სრულდება პროფესიული სასწავლებლის მოწყობის სამუშაოები შუახევის მუნიციპალიტეტში.

საპენსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპენსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში. შესაბამისად აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე. საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპენსიონო მომსახურებას უზრუნველყოფილი არიან კვებით და სხვა ყველა საჭირო მომსახურებით.
პროგრამის შედეგად უზრუნველყოფილია მაღალხარისხიანი ზოგადი განათლების მიღება. ბავშვებს აქვთ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილი და სასწავლო გარემო. 2019 წლის პროგრამის ბიუჯეტი - 666 763.97ლარი.

აღნიშნული პროგრამა 2020 წელსაც გრძელდება. ამასთან, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სკოლა-პანსიონში ჩარიცხულ 253 ბავშვს სურსათი ოჯახებში მიუტანეს.

დისტანციური სწავლება

პანდემიის პერიოდში საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც წარმატებით ხორციელდება არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროექტი ,,ტელესკოლა", რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განათლების ხელმისაწვდომობა და დისტანციური სწავლება.

,,ტელესკოლა“ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. დისტანციური სწავლების დროს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულმა სატელევიზიო გაკვეთილებმა, რეკომენდაციებმა, საშუალება მისცა სკოლებს შეასრულონ ზოგადი განათლების კანონით დადგენილი მოთხოვნები და თითოეული კლასის მოსწავლეს სასწავლო წლის ბოლოსათვის მისცენ შესაბამისი ცოდნა და უნარები.

აჭარაში 229 საჯარო და 24 კერძო სკოლაა. ყველა სკოლა აქტიურადაა ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში. სკოლები დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული იყო სხვადასხვა პროგრამები (Microsoft TEAMS; Feedc Edu; Zoom, სოციალურიქსელები, ელექტრონულიფოსტა და სხვ.).

შეიქმნა ვირტუალური საკონსულტაციო სივრცეები, რომლებშიც ,,ახალი სკოლის მოდელის" მოხალისე ექსპერტები ტექნოლოგიების მიმართულებით დახმარებას უწევდნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

მასწავლებელთა მხარდასაჭერად და დისტანციური სწავლების მეთოდების გაძლიერების მიზნით, 30 აპრილიდან ტარდება ვებინარები.

UNICEF Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF Georgia) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრა თანამშრომლობა ბავშვთა უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თემის, აკადემიური წრეებისა და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დონეზე;

ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მიმართულებით, დაინერგება ინოვაციური მიდგომები;

არქივი

საარქივო სამმართველოს ფონდსაცავი თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და აღიჭურვა. მიმდინარეობს საარქივო დოკუმენტების ელექტრონული ბაზის შექმნა, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში ,,საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი“.

კულტურა

აჭარა გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. აჭარის მთავრობა ხელს უწყობს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

2019 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით **5 პროგრამა განხორციელდა.** კულტურის სფეროს 2019 წლის ბიუჯეტი-18 700 000 ლარი.

კულტურული პოტენციალის წარმოჩენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზებაზე ღია კონკურსის წესით შერჩეული იქნა 10 ფესტივალის პროექტი. აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობდა 5 000-ზე მეტი ბენეფიციარი.

პროექტი თეატრალური ფესტივალი

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 12 წარმოდგენა, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა თეატრალურმა დასმა.

კულტურული მემკვიდრეობა

აჭარაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროექტებისათვის 2019 წელს 3 000 000 ლარი დაიხარჯა.

პეტრას ციხის ტერიტორიაზე დაიწყო და მიმდინარეობს მასშტაბური სამუშაოები, რაც მოიცავს ადაპტირებული ბილიკების, ვიზიტორთა ცენტრის, საექსპოზიციო ნაგებობებისა და ავტოსადგომის მოწყობას. პროექტის ბიუჯეტია 2,350,000 ლარი. პროექტის დასრულების შემდეგ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - პეტრა საერთაშორისო სტანდარტის ტურისტული ობიექტი იქნება.

განხორციელდა ხინოწმინდის ეკლესიის რეაბილიტაცია. გაგრძელდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გალავნის, მინაშენისა და სამარხების საკონსერვაციო სამუშაოებს. პროექტის ბიუჯეტი 70 000 ლარს შეადგენდა.

დარულდა არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო სამუშაოები გონიოს ციხეში (ბიუჯეტი 81 000 ლარი) და ციხის ორი კოშკის რესტავრაცია (ბიუჯეტი 25 000 ლარი).

ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქუჩის N39, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის N36 და ნოე ჟორდანიას ქუჩის N24-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

2019 წელს განხორციელდა ბათუმში, ვახტანგ გორგასალის ქუჩის N24 ნომერში მდებარე, XX ს-ის დასაწყისში აგებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია. ბიუჯეტი 334 000 ლარი.

ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას 35-ნომერში მდებარე წმ.თეოდორე აჭარელის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული ეკლესია XIX საუკუნეშია აგებული და სამლოცველოს ფუნქციას გასული საუკუნის 20-იან წლებამდე

ინარჩუნებდა. პროექტის საერთო ბიუჯეტი 700 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარეობს ბათუმში ნოე ჟორდანიას ქუჩის N14-ში (400 000 ლ), მაზნიაშვილისა და აბაშიძის ქუჩის კვეთაში (700 000 ლ), ასევე, კონსტანტინე გამსახურდიასა და აბაშიძის ქუჩის კვეთაში არსებული საცხოვრებელი სახლების (150 000 ლ) რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს ბათუმში ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ფრესკების რესტავრაცია, რომლის ბიუჯეტი 300 000 ლარია.

გონიოს ციხეში განხორციელდა „რომაული ბანაკის“ პროექტი, მოეწყო რომაული საცხოვრებელი კარვები, ამფითეატრი (90 000 ლ), ჩატარდა ,,რომაული ფესტივალი - 2019“.

2020 წლისათვის პრიორიტეტად რჩება ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შემენა, რისთვისაც გამოყოფილია 100 000 ათასი ლარი, დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისათვის ასევე გათვალისწინებულია 60 000 ლარი.

2020 წელს დაგეგმილია:

ხიხანის აბუსერისძეთა საგვარეულო ციხის რეაბილიტაცია (83 000 ლარი);

- ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვა (დ’ალფონსის სააგარაკო სახლი, ნიგაზეულის ციხე, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი) (100 000 ლარი);
- ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა (60 000 ლარი);
- პეტრას ციხის ინფრასტრუქტურით მოწყობა (1 300 000ლარი);
- მოეწყობა გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის ინფრასტუქტურა (კოშკის რეაბილიტაცია, გარე ბილიკების მოწყობა- 150 000 ლარი);
- არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა (45 000 ლარი).

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეყნისა და რეგიონის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განათლება, ახალგაზრდული სფეროს გაძლიერება და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა დასახელდა. აღნიშნული პრიორიტეტების შესაბამისი ღონისძიებების გატარებისათვის შეიქმნა ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი, რომელიც რეგიონში ახალგაზრდობის სფეროში არსებულ გამოწვევებს პასუხობს და უზრუნველყოფს ახალგაზრდების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობას.

არაფორმალური განათლება, ახალგაზრდული ეკონომიკის გაძლიერება, ახალგაზრდული სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, შემეცნებითი და კულტურული მიმართულებების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ძირითად სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს.

2020 წლის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 2 408 550 ლარით. კორონავირუსის გათვალისწინებით მოხდა ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, 650 000 ლარით შემცირდა ბიუჯეტი და დაგეგმილი პროგრამებიდან ამოღებულ იქნა რამდენიმე პროექტი, რომელიც დაგეგმილი იყო პანდემიის პერიოდში. შესაბამისად, მოხდა პროგრამების მოდერნიზება არსებული რეალობის გათვალისწინებით.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი პანდემიის ,,COVID-19" ის გავრცელების დროს ჩაერთო სასურსათო კალათების, პირველადი საჭიროების მედიკამენტების დარიგების პროცესში. მასშტაბურ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობით მოხერხდა პირველ ეტაპზე 10 000, ხოლო მეორე ეტაპზე 20 000-მდე სასურსათო კალათისა და მედიკამენტების მიწოდება რისკ-ჯგუფში შემავალი თანამოქალაქეებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა პენსიონერების, სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე, სარეცელს მიჯაჭვული მოქალაქეებისათვის.

ევროპის რეგიონთა ასამბლეამ და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ქვეყნებმა აჭარა ახალგაზრდული მოხალისეობის წარმატებულ მაგალითად აღიარეს ევროპაში.

ევროპის რეგიონთა ასამბლეის და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ქვეყნების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ხორვატიის რესპუბლიკის ვარაზდინის ოლქთან ერთად აღიარებულ იქნა პანდემიის განმავლობაში სტრატეგიული კოორდინაციისა და კრიზისის მართვის უნარის მქონე წარმატებულ მაგალითად ევროპაში.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი 5 პროგრამას ახორციელებს:

არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი: მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნა, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

- ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი: ახალგაზრდების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კავშირების დამყარება ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე როგორც სამთავრობო, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდებში ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა, კულტურული ღირებულებების გაცვლა;

- კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა. მიზანი: საერთაშორისო გამოცდილების მიღება, ახალგაზრდების გადამზადება,

სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გამოცდილების მიღება, პროექტების წერისა და საგრანტო პროექტების მოძიების სწავლება, მცირე სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალგაზრდების წახალისება;

- ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერის პროგრამა. მიზანი: განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა, კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა ახალგაზრდებში, ახალგაზრდების მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა;

- სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი: ახალგაზრდული რესურსის ერთიანი ბაზის შექმნა, ახალგაზრდებთან ეფექტური კომუნიკაცია, მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გამყარება, სერვისებსა და ინფორმაციებზე გამარტივებული წვდომა, აქტიური ახალგაზრდების გამოვლენა, ახალგაზრდობის საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

<u>სპორტი</u>

განსაკუთრებული წარმატებების წელი იყო 2019 ჩვენი სპორტსმენებისათვის. გვყავს უპრეცედენტოდ ბევრი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აჭარა 2019 წელს სპორტის რეგიონად დასახელდა, ასევე ბათუმს ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

აჭარაში 36 ფედერაცია ფუნქციონირებს, ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა, იზრდება სპორტული სახეობები და იქმნება ახალი სპორტული სექციები.

სპორტი სკოლებში

მეორე წელია ხორციელდება სკოლებში სპორტის მხარდაჭერის პროგრამები. კერძოდ, **რეაბილიტირებულია ან აშენდა** ახალი სპორტული დარბაზები, როგორც ღია ასევე

დახურული - 2 ბათუმის, 3 ქობულეთის, 2 ხელვაჩაურის, 2 ქედის, 1 შუახევის, 2 ხულოს მუნიციპალიტეტებში;

აჭარის მთავრობა სპორტული ინფრასტრუქტურისა და ზოგადად სპორტული ტურიზმის განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

სოფლის მეურნეობა

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად. რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის 200-მდე სოფელში გაიმართა აქტიური შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნების გაცნობა.

2019 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროგრამები განხორციელდა:

- **„სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“** ფარგლებში შესყიდული იქნა 150 ცალი მოტობლოკი (სათიბელათი) და 150 ცალი მოტოკულტივატორი, 600 ცალი შემასხურებელი, 5ც ტრაქტორი, 5ც სახნავი გუთანი, 5ც სითხის გამფრქვევი, 2ც თივის საწნეხი, **რომელიც გადაეცა ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს;**

- **„მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის“** ფარგლებში ადგილობრივ **ფერმერებსა და მეწარმეებს გადაეცათ** 230 ცალი სეპარატორი, 20 ცალი თხილის სარჩევი, 60 ცალი ღვინის კასრი, 50 ცალი ფიჭის ჩარჩოების ასათლელი;

- **„მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“**ფარგლებში 50.67 ჰა-ზე მეტ ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ მანდარინის, კაკლის, მოცვის, ვაზის, კივის, ჟოლოს და სხვა (ფორთოხლის, ლიმონის, ხურმის) ბაღები;

- **„სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის“** ფარგლებში **რეკონსტრუქცია ჩაუტარდა** რეგიონში არსებულ 11 არხს, რომლის მთლიანმა სიგრძემ შეადგინა - 35,683 კმ;

- **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“** ფარგლებში სტაჟირება გაიარა ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული სპეციალობის 15-მა სტუდენტმა;

- **ქვეპროგრამა „აგრარული ექსტენციის მიწოდების ფარგლებში“** ექსტენცია სხვადასხვა აგრომიმართულებით ჩაუტარდა 2400 ადგილობრივ ფერმერს, საველე პირობებში ექსტენცია ჩატარდა - 240 ჯგუფთან;

ჩატარდა არა ერთი საერთაშორისო დონის ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო რეგიონის საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ახალი ბაზრების დივერსიფიცირება.

2019-2020 წლების ციტრუსის სეზონზე რეგიონში წარმოებულ იქნა **55 ათასი ტონა ციტრუსი.** ექსპორტზე გავიდა **30 560 ტონა** სტანდარტული მანდარინის ნაყოფი, ძირითადი მიმართულებები იყო აზერბაიჯანი, სინგაპური, პოლონეთი, ბელარუსი მოლდოვა, ლიეტუვა და სხვა.

კორონავირუსის გავრცელებით შექმნილი ვითარებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ფერმერებისა და მეწარმეებისათვის შეღავათების შეთავაზება. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო მოახდენს ხარჯების ექვსი თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას. გარდა ამისა, ძირითად საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი.

- გეგმის თანახმად, თუ სოფლად მაცხოვრებელი გადაწყვეტს მცირე ბიზნესის წარმოებას, სახელმწიფო მას გრანტის სახით ფინანსური რესურსით დაეხმარება.
- 2012 წლის შემდეგ დაგროვილი ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირის გადასახადი ჩამოიწერა.
- მაისის მეორე ნახევრიდან ფერმერებს საწვავის შეძენა 1 ლარით ნაკლებ ფასად შეუძლიათ.
- „შეღავათიანი აგროკრედიტის” ძირითადი საშუალებების კომპონენტში გაიზარდა თანადაფინანსების პროცენტი.

შემუშავდა შემდეგი სახის პროგრამები:

- მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა;
- მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა;
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;
- ტექნიკური დახმარების პროგრამა სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სამი წლის განმავლობაში მოხდეს ქვეყნის მასშტაბით 1, 2 მლნ ჰექტარი მიწის რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით ეს მიწის ის რესურსია, რომელიც დარჩენილია რეგისტრაციის გარეშე;

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმატში გამოიყო რესურსები გლეხების და ფერმერების ხელშესაწყობად, როგორც გრანტების, ისე ხვნა-თესვის პროგრამის ფარგლებში, რათა მომხდარიყო სოფლის მეურნეობის მაქსიმალური მხარდაჭერა;

ხორციელდება ფერმერთა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათესი ფართობების **უსასყიდლოდ დახვნა**. უკვე დამუშავდა **1 400** ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. აგროვადების სრული დაცვით აქტიურად მიმდინარეობს ხვნისა და თესვის სამუშაოები. ბიუჯეტი - 578 200 ლარი;

ბოსტნეული კულტურების წარმოება. აგროსერვის ცენტრის გვარას სასათბურე მეურნეობაში იწაროება ბოსტნეული კულტურები (კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, ბულგარული, ყაბაყი და სხვა) რაც რეგიონის მოსახლეობას საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ გადაცემა. ბიუჯეტი - 462 200 ლარი.

მაღალმთიან აჭარაში სანერგე/საჩითილე მეურნეობების განვითარება. ბიუჯეტი-571000 ლარი;

ფერმერთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, უფასოდ გაიცემა 1 მილიონამდე სარგავი და საჩითილე მასალა, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს უხვი და ხარისხიანი მასალის მიღებას. ფერმერებს მიეცათ შესაძლებლობა სერტიფიცირებული, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის ჩითილებით აწარმოონ მაღალი ხარისხის ადგილობრივი ბოსტნეული;

- მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება. ბიუჯეტი - 618 000 ლარი;
- სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. ბიუჯეტი - 732 800.

კოვიდ 19-თან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო პირობების ფონზე, ჩატარდა პირველადი მოთხოვნის სასურსათო პროდუქციის (პურის ფქვილი, შაქარი, წიწიბურა, ზეთი, ბრინჯი, კვერცხი და სხვა) ფასების კვლევა. რეგიონის 19 სასურსათო მსხვილ სუპერმარკეტში ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელდა ინფორმაციის მონიტორინგი რეგიონში არსებული სასურსათო პროდუქციის მარაგების შესახებ.

ამოქმედდა სამინისტროს ცხელი ხაზი, რომელზეც აგრო მიმართულებით დაინტერესებულ-ლი პირებისათვის ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება.
სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა სატვირთო პროდუქტების შეტანა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკარანტინო სოფლებში რათა აღმოფხვრილიყო, როგორც სასურსათო პროდუქციის, ასევე მედიკამენტებისა და ჰიგიენური საშუალებების დეფიციტი.

აგროსერვის ცენტრის მიერ შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულდა საჩითილე მეურნეობისა და ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა. ბიუჯეტი - 386 265 ლარი.
ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობად დაიხარჯა 1 149 360 ლარი.
ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება, სადაც წარმოებულ იქნა:

- ვაზის 25000 ცალი ნერგი;
- 2000 ცალი კაკლის ახალი ნამყენი;
- ციტრუსის ერთწლიანი 35700 ცალი და ორწლიანი 18000 ცალი ნერგი;
- 5600 ცალი ერთწლიანი და 2300 ცალი ორწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის ნერგი;

ბიუჯეტი-690 227 ლარი;

მეფუტკრეობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა 240 ფერმერის ფუტკრის ოჯახის

სუბსიდირება. ბიუჯეტი - 196 440 ლარი.

აგროპარკის ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მოეწყო ინდივიდუალური სასათბურე მეურნეობები 5220 კვმ.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

- სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვის მიზნით გაყვანილი იქნა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 33 070 მეტრი სიგრძის ახალი გზა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 144 620 მეტრი სიგრძის ძველ გზას. ასევე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მეტყევის სახლის მშენებლობა. **ბიუჯეტი - 658 000 ლარი.**
- ტყის დაცვის და მოვლისათვის, ხულოს სატყეო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა დეგრადირებული ტყის 100 ჰა ფართობზე ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები. **ბიუჯეტი - 218 000 ლარი;**
- ჩატარდა ზღვის წყლის 120 ერთეულის სინჯის ანალიზი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი. **ბიუჯეტი - 34 400 ლარი;**
- ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სტუდენტები და მოსწავლეები ჩაერთნენ სატყეო სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში.

ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკვები ნიმუშების შესწავლის მიზნით გამოკვლეული იქნა 16 308 ნიმუში.

ლაბორატორიის ხუთმა თანამშრომელმა ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში, აკვაკულტურის განვითარების მიმართულებით, გაიარა გადამზადების სპეციალური კურსი, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის აკვაკულტურის დარგის შემდგომ განვითარებას.

2020 წელს სამინისტროს მიერ დაგეგმილია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, მათ შორის :

- აგროსასურსათო სექტორის პოლიტიკის შემუშავება და მართვა. ბიუჯეტი - 2 345 730 ლარი;
- აგროსექტორის მდგრადი განვითარება. ბიუჯეტი- 227 000 ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ბიუჯეტი - 1 351 616 ლარი;
- სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. ბიუჯეტი - 912 306 ლარი;
- აგროსერვისის განვითარება რეგიონში. ბიუჯეტი - 3 189 161 ლარი;
- სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. ბიუჯეტი - 770 484 ლარი;
- ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა. ბიუჯეტი-100 000 ლარი;
- მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა. ბიუჯეტი - 563 262 ლარი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უზრუნველყოფა და მართვა. ბიუჯეტი -1 162 110 ლარი;
- გარემოსდაცვითი პროგრამა. ბიუჯეტი- 54 600 ლარი;
- ტყის დაცვა და მოვლა. ბიუჯეტი-465 050 ლარი;
- ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები. ბიუჯეტი- 3 171 730 ლარი;
- ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება. ბიუჯეტი - 328 720 ლარი.